

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები საგამოცდო საკითხები

კერძო სამართლის მიმართულებით

1. სამოქალაქო სამართალი და მისი მოქმედების სფერო, სუბიექტები და პრინციპები;
2. კერძო და საჯარო სამართალი, კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრობლემა, კერძო სამართლის სისტემა, საჯარო სამართლის სისტემა;
3. ფიზიკური პირები და მათი უფლებაუნარიანობა/ქმედუნარიანობა; ქმედუნარიანობის შეზღუდვა და მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
4. პირის უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება;
5. პირადი არაქონებრივი უფლებები და მათი დაცვა;
6. იურიდიული პირი. ცნება და სახეები, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა;
7. გარიგების ცნება და სახეები;
8. გარიგების ფორმა და მისი მნიშვნელობა;
9. წარმომადგენლობა გარიგებებში;
10. ნება და მისი მნიშვნელობა გარიგებებში, ნების ნაკლი და მისი შედეგები;
11. უფლება და მისი განხორციელება სამოქალაქო სამართალში;
12. ვადები - არსი, სახეები, გამოყენების წესი, ხანდაზმულობის ვადის შეჩერება და შეწყვეტა;
13. ქონება - არსი და ნიშნები, ნივთი და მისი სახეები;
14. მფლობელობა. საკუთრება, საკუთრების შექმნა და დაკარგვა.
15. სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა (აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი);
16. მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო სამართლებრივი საშუალებები - გირავნობა და იპოთეკა;
17. ვალდებულების არსი, წარმოშობის საფუძვლები და ვალდებულებითი ურთიერთობის სუბიექტები;
18. ხელშეკრულება და მისი დადების წესი;
19. ხელშეკრულებიდან გასვლა;
20. ვალდებულების დარღვევა და ზიანის ანაზღაურება;
21. ცალკეული ხელშეკრულებები - ნასყიდობა (ბარტერი), ჩუქება, ქირავნობა, იჯარა, სესხი, ნარდობა, დაზღვევა, ლიზინგი, ფრენშაიზინგი, თავდებობა, საბანკო გარანტია;
22. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები - საზიარო უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება. დელიქტები;

23. ქორწინება და მისი პირობები;
24. ქორწინების შედეგად წარმოშობილი პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობები: მეუღლეებს, შვილებსა და ოჯახის სვა წევრებს შორის;
25. განქორწინება და მისი პირობები;
26. შვილება, მეურვეობა და მზრუნველობა;
27. მემკვიდრეობითი ურთიერთობები. სამკვიდრო ქონება და მემკვიდრეობითი ურთიერთობის სუბიექტები;
28. მემკვიდრეობა კანონით და მემკვიდრეობა ანდერძით;
29. მეწარმეობის არსი და ნიშნები, საქმიანობა, რომელიც არ ითვლება სამეწარმეოდ;
30. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მათი გამიჯვნა, მეწარმის რეგისტრაციის აზრი;
31. პასუხისმგებლობის ფორმები და პრინციპები, შესატანი, საწარმოს კაპიტალი და მისი ფუნქციები, ცვლილებები საწარმოს კაპიტალში;
32. საფირმო სახელწოდება (ფირმა);
33. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, საკონსულტაციო ორგანოები, პროკურა, პარტნიორთა საერთოკრება;
34. საწარმოთა ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია - გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა;
35. შრომის სამართლის პრინციპები, შრომის სამართლის წყაროები;
36. შრომითი ურთიერთობა და მისი სუბიექტები;
37. შრომითი ურთიერთობის დამყარება – შრომის ხელშეკრულება, მისი სუბიექტები (მხარეები) და იურიდიული არსი;
38. შრომის პირობები;
39. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა;
40. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და ძირითადი პრინციპები;
41. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა;
42. სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით;
43. სასარჩელო წარმოება, წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო გადაწყვეტილება. საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე;
44. წარმოება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში და მათი თავისებურებანი;
45. საქმის წარმოების განახლება.